ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13
(კონსოლიდირებული ტენდერი **CON190000360)**

თბილისი 14.08.2019 წ.

ერთის მხრივ სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის #2 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის ნინელი ანანიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ორიენტ ლოჯიკი (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის, ალან სანაკოევის სახით, ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული "კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების", "2019-2020 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის პრინტერისა და კარტრიჯის სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის მეშვეობით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 აპრილის №806 განკარგულების, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც შეისყიდის საქონელს.

1.1.4. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ჭავლური პრინტერებისა და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯების 2019-2020 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000360) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.1.9. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 1 ცალი A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ჭავლური პრინტერის (CPV - 30232150) და მისთვის განკუთვნილი 1 ცალი კარტრიჯის (CPV - 30192113) (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1–ის, დანართი №2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) 658 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3.2. სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;
4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;
4.1.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
4.1.4. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
4.1.5. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის #2 საჯარო სკოლის დირექტორი ნინელი ანანიაშვილი;

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს საქონლის მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე, ხელშეკრულების 6.1 პუნქტის გათვალისწინებით. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: baraletiskola2@gmail.com ;მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი:mikhail.pigarev@ol.ge; Info@ol.ge).

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, საბურთალო, გოძიაშვილის №71.

6.4. სტანდარტულ პრინტერებთან მიმართებაში გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო შემოთავაზებული პრინტერებისთვის განკუთვნილ ორიგინალ კარტრიჯებთან მიმართებაში გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია მაქსიმუმ არაუგვიანეს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის #2 საჯარო სკოლის დირექტორი ნინელი ანანიაშვილი.მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კომერციული დირექტორი ალან სანაკოევი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

7.5 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
გ) მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

8. გარანტია

8.1. პრინტერებზე ვრცელდება საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში; ხოლო კარტრიჯებზე საგარანტიო მომსახურება ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს. მიმწოდებელი განახორციელებს ხარვეზის აღმოფხვრას საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრ(ებ)ში წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში,მისამართებზე:

- შპს. ორიენტ-ლოჯიკი ქ. თბილისი ბელიაშვილის #106; საოპერაციო მენეჯერი: მიხეილ დუნამალიანი, თამუნა დათუნაშვილი ქოლცენტრის ტელეფონი 2 541 818
- შპს. ელიტ სერვისი, ბათუმის ფილიალი, მის: ზ. გორგილაძის 94 მენეჯერი: დავით ჯიჯავაძე; ქოლცენტრის ტელეფონი 2 200 202
- შპს ელიტ სერვისი, ქ ქუთაისი ლ. ასათიანის 98 მენეჯერი დალი ბურალავა; ქოლცენტრის ტელეფონი 2 200 202
- შპს ელიტ სერვისი, გორის ფილიალი, მის: დ. გურამიშვილის 70 მენეჯერი: ნანა ჭალიძე. ქოლცენტრის ტელეფონი 2 200 202
- შპს. ელიტ სერვისი თელავის ფილიალი, მის: დ. აღმაშენებლის 52ბ მენეჯერი გიორგი შაქარაშვილი; ქოლცენტრის ტელეფონი 2 200 202

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, არ გაავრცელოს საგარანტიო პირობები იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ პრინტერში გამოიყენებს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შესყიდულ კარტრიჯებს (მათ შორის არაორიგინალს, დატენილს ან თავსებადს).

8.4. საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიერ მიმართვის შემდგომ, საქონლის მიმწოდებლის სერვის-ცენტრში წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

8.5. ვინაიდან, მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტულ ორიგინალ კარტრიჯში არ არის ინტეგრირებული ე.წ. „მელნის ნარჩენების რეზერვუარი“, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაცია უსასყიდლოდ უზრუნველყოს მელნის ნარჩენების რეზერვუარით, შემსყიდველის მიერ ყოველი 50 000 გვერდის ბეჭდვის რესურსის მქონე ორიგინალი კარტრიჯების შეძენისას. მწარმოებლის შესაბამისი რეკომენდაცია მელნის ნარჩენების რეზერვუარის რესურსის შესახებ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილია ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით, კონსოლიდირებული ტენდერითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების

დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა წინამდებარე კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულების:
ა) 20%-ის ოდენობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.
ბ) შესასყიდი საქონლის (დარჩენილი) ღირებულების 10%-ის ოდენობით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

9.3 საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

9.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

14 სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, -- ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

სსიპ ახალქალქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის №2 საჯარო სკოლა	შპს ორიენტ ლოჯიკი
მისამართი: ქ. ახალქალაქი, სოფელ ბარალეთი	მის.: ქ. თბილისი, ბელიაშვილის N106
ტელ: 551084340	საიდენტიფიკაციო კოდი: 202 052 054
საბანკო რეკვიზიტები: სს ლიბერთი ბანკი	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: LBRTGE22	ა/ანგარიში: GE96BS 0000 0000 0593 6872
ანგ .№ GE02LB0121112901946000	ბანკის კოდი: CBASGE22
ს/კ 223354215	
დირექტორი, ნინელი ანანიაშვილი	დირექტორის მინდობილი პირი
	ალან სანაკოევი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	A4 ფორმატის შავ-თეთრი ჭავლური მრავალფუნქციური პრინტერი	EPSON Workforce Pro WF-M5799DWF	1	458.00	458.00
2	ორიგინალი კარტრიჯი	EPSON WF-M52xx/57xx Series Ink Cartridge XL Black - C13T965140 10,000 pages,	1	200.00	200.00
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	658.00

შემსყიდველი:
სსიპ ახალქალქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის #2 საჯარო სკოლა
დირექტორი, ნინელი ანანიაშვილი

მიმწოდებელი:
შპს ორიენტ ლოჯიკი
წარმოდგენილი ალან სანაკოევის სახით,

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №13 **დანართი №2**

მრავაქლფუნქციური შავ-თეთრი ჭავლური პრინტერის ტექნიკური პარამეტრები

პრინტერი:

1	ბეჭდვის ტიპი:	შავ-თეთრი
2	ტექნოლოგია:	ჭავლური
3	პირველი გვერდის ამობეჭდის დრო:	4.8 წამი
4	ბეჭდვის სიჩქარე:	24 გ/წ

5	პრინტერის გარჩევადობა:	1200 x 1200 dpi
6	ფორმატი:	A4 , C4 (Envelope), Legal, A6, A5, B5, Letter.
7	საქაღალდე უჯრა:	330 ფურცელი სტანდარტულად (80 Shets MP Tray / 250 Sheets paper tray)
8	საკომუნიკაციო პორტები:	Wireless LAN IEEE 802.11b/g/n (WiFi 4), Wi-Fi Direct, USB 1.1 Type A (2x), Hi-Speed USB - compatible with USB 2.0 specification, Ethernet Interface (1000 Base-T/ 100-Base TX/ 10-Base-T), Near Field Communication (NFC)
9	USB ტიპის კაბელი:	მოყვება 1.5 მეტრი სიგრძის კომპიუტერთან დამაკავშირებელი USB ტიპის კაბელი
10	ოპერატიული მეხსიერება:	1024MB
11	მაქსიმალური დატვირთვის ციკლი თვეში:	45,000 გვ/თვეში
12	შემომავალი დენი:	აკმაყოფილებს 220 V - 240 V 50Hz – 60Hz ჩათვლით
13	ოპერაციულ სისტემებთან თავსებადობა:	Windows, Linux, Mac OS.

ასლის გადაღება:

14	ასლის გადაღების სიჩქარე:	Up to 22 გვ/წ
15	ასლის გადაღების გარჩევადობა:	600 x 1200 dpi

სკანერი:

16	სკანერის ტიპი:	Flatbed, ADF (ფურცლის ავტომატური მიმწოდებელი)
17	სკანერის გარჩევადობა :	1,200 dpi x 2,400 dpi
18	სკანირების სიჩქარე:	24 გვ/წ
19	დასკანირებული ფაილის ფორმატი:	JPEG, TIFF, PDF

შემსყიდველი:
სსიპ ახალქალქის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარალეთის #2 საჯარო სკოლა
დირექტორი, ნინელი ანანიაშვილი

მიმწოდებელი:
შპს ორიენტ ლოჯიკი
წარმოდგენილი ალან სანაკოევის სახით,